

სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება¹

დასაბუთებული გადაწყვეტილება

დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპია, რომელიც ინდივიდს თვითნებობისგან იცავს; ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (Ruiz Torija v. Spain, §§29-30).

დასაბუთებული გადაწყვეტილება: დარღვევა

- ეროვნულმა სასამართლომ ვერ უპასუხა მომჩივნის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე მხარის მიერ წარდგენილი საჩივარი ხანდაზმული იყო (Ruiz Torija v. Spain-ს საქმე);
- სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, იყო თუ არა მომჩივნის სავაჭრო ნიშანი „დადგენილი“, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განსაზღვრა აღნიშნული საკითხი და მის საფუძველზე გადაწყვეტილება აპლიკანტის სასარგებლოდ მიიღო (Hiro Balani v. Spain-ს საქმე);
- „გამონაკლისი შემთხვევის“ ცნების არარსებობა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით სახეზე უნდა იყოს, რათა მოსარჩელემ შეძლოს სარჩელის წარდგენა კანონით გათვალისწინებული 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ (H. v. Belgium-ს საქმე);
- მომჩივნისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი პენსიის მინიჭების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა; სასამართლო გადაწყვეტილებით მომჩივანს მიეკუთვნა ნაწილობრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილი პენსია, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (Hirvisaari v. Finland-ის საქმე);
- მსჯავრდების დაფუძნება ექვმიტანილის ამოცნობის შედეგზე, როდესაც ამოცნობის დროს აპლიკანტი, სხვა ამოსაცნობი პირებისგან ლურჯი ნიღბით

¹ იხ., სამართლიანი სასამართლო უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის, მე-2 გამოცემა, მომზადებული დოვიდას ვიტკაუსკასისა და გრიგორი დიკოვის მიერ.

გამოირჩეოდა - ხოლო სხვა მონაწილეებს შავი ნიღბები ეკეთათ (Laska and Lika v. Albania);

- რაიონული სასამართლოების მიერ სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების საქმეზე კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება (Ștefănică and others);
- ადეკვატური პროცედურული გარანტიების არარსებობა, რომლებიც ბრალდებულს შესაძლებლობას მიცემდა ასიზთა სასამართლოში ნაფიცმსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების მიზეზებს გაცნობოდა, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა დეტალიზებული საბრალდებო დასკვნა და აგრეთვე ნაფიცი მსაჯულებისთვის არ დასმულა კითხვები (Taxquet v. Belgium [GC]);
- პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება, სხვებს შორის, დააფუძნა საერთაშორისო ხელშეკრულებას შესაბამისი გარემოებების-როგორცაა მხარის მოქალაქეობა, გამოკვლევის გარეშე (Tatishvili v. Russia);
- ეროვნულმა სასამართლომ ხელისუფლებას ზედა ინსტანციის სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენის მიზნით გაუგრძელა საპროცესო ვადა, ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების მითითების გარეშე (Agurdino S.R.L. v. Moldova).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება განიხილება სამართალწარმოების „სამართლიანობის” კრილში (Hirvisaari v. Finland, §§30-33), სტრუქტურულად, ის ასევე შეესაბამება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, ვინაიდან ორივე მოითხოვს კონკრეტულ საქმეში აპლიკანტის მიერ წამოჭრილი შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების დადგენას (Chevrol v. France).

დასაბუთებული გადაწყვეტილების მიზანია მხარეებისთვის იმის დემონსტრირება, რომ მათ რეალურად მოუსმინეს (Fomin v. Moldova §§22-34). უფრო მეტიც, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს მისი გასაჩივრებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გადასინჯვის შესაძლებლობას აძლევს. მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ საზოგადოებრივი კრიტიკა შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში (Suominen v. Finland §§25-38).

შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არამხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარეს ან

უარყვეს შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი, შეურაცხმყოფელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან კარგად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე (Fomin v. Moldova §§22-34).

ზოგადად, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და მონაწილე მხარეებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას გაიგონ თუ რატომ დაუჭირა მხარი სასამართლომ კონკრეტულ პოზიციას (Seryavin and others v. Ukraine §§55-62).

გადაწყვეტილების საფუძველები ასევე მითითებული უნდა იყოს თუ ის მიღებულია სამართალწარმოების ხელახლა დაწყების ან მეორე მხარისთვის პროცედურული პრივილეგიების გაფართოების შედეგად (Agurdino S.R.L. v. Moldova §§18-36).

„მეოთხე ინსტანციის“ დოქტრინის ტრადიციული მიდგომის მიხედვით, მე-6 მუხლი დასაშვებად არ მიიჩნევს ფაქტის დადგენის ან ეროვნული სასამართლოების სამართლებრივი კომპეტენციის შესახებ საჩივრებს, სადაც მხარეები დავობენ, რომ ეროვნულმა სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო (Karalevičius v. Lithuania, dec.). აქედან გამომდინარე, დასაბუთებული გადაწყვეტილების ტესტი შემცირდა რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ შეფასებამდე; თუ გადაწყვეტილებაში მოცემულია ზოგიერთი მიზეზი, სადავო გადაწყვეტილება პრინციპში მე-6 მუხლის შესაბამისად მიიჩნევა (García Ruiz v. Spain, §§26-30). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტრადიციული მიდგომის მიხედვით, მხოლოდ რამდენიმე გამონაკლის საქმეში, სასამართლომ განიხილა არა გადაწყვეტილების საფუძველების არარსებობა, არამედ მათი აშკარად არათანმიმდევრულობა (Tatishvili v. Russia, §§59-63; Antică and “R” company v. Romania, §§32-39), რაც ასევე მიჩნეულ იქნა თვითნებობის გამოვლინებად. თუმცა, რამდენიმე წელია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლთან მიმართებით გადაუხვია ტრადიციულ რაოდენობრივ მიდგომას და უფრო ხშირად აფასებს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხს, როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ ჭრილში.

დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას; გარდა ამისა, აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძველების გამეორების გარეშე (Hirvisaari v. Finland, §32).

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოასწოროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა (*Hirvisaari v. Finland*). და, პირიქით, ძალიან მოკლე მსჯელობა საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ- ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ აღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (*Gorou (No. 2)*, §§38-42).

გადაწყვეტილების დასაბუთება არ არის აუცილებელი მოცემული იყოს კონკრეტული ფორმით (წერილობით). სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების საფუძვლები გამოაცხადოს მისი მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ თუ ეს არ აფერხებს მომჩივნის მიერ საჩივრის წარდგენის უფლების ეფექტიან გამოყენებას (*Hadjianastassiou v. Greece; Jodko v. Lithuania, dec.*).

ნაფიცმსაჯულთა ვერდიქტი მიზეზების არარსებობა შეიძლება დასაშვები იყოს თუ აღნიშნული მიზეზების ნახვა შესაძლებელია საქმის სხვა მასალებში, კერძოდ, ბრალდებაში, კითხვარსა და ნაფიცმსაჯულთა თავმჯდომარის ინსტრუქციებში (*შეადარე Taxquet v. Belgium [GC] და Judge v. the United Kingdom, dec.*).

დასაბუთებული გადაწყვეტილება: დარღვევა არ დადგინდა

- ეროვნული სასამართლოების მიერ მოკლე დასაბუთების წარმოდგენა საქმეში არსებულ ფაქტებთან მიმართებით, სადაც მომჩივანი წარუმატებლად დავობდა, რომ მან მოპასუხისთვის გარკვეული სახის ანაზღაურებადი მომსახურება შეასრულა და ზედა ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს პირველი ინსტანციის დასაბუთება (*García Ruiz v. Spain*);
- ნაფიცმსაჯულთა ვერდიქტის მიღების მიზეზების მიუთითებლობა, რომელიც დაბალანსებული იყო პროცედურული გარანტიებით, ვინაიდან ზემოხსენებული მიზეზების დადგენა შეიძლებოდა მხარეთა არგუმენტებიდან; გარდა ამისა, მოსამართლემ იკისრა ვალდებულება ნაფიცმსაჯულებისთვის განემარტა კანონმდებლობა (*Judge v. the United Kingdom, dec.*).

არასანდო მტკიცებულებები

როდესაც მსჯავრდება გადამწყვეტად ეფუძნება მტკიცებულებას, რომელიც მე-6 მუხლის ავტონომიური პრინციპების თვალსაზრისით მოპოვებულია უკანონოდ-მაგალითად, როდესაც აღიარება მოპოვებულია თვითინკრინაციისგან დაცვის

პრივილეგიის დარღვევით, მიიჩნევა, რომ სამართალწარმოება არასამართლიანია. თუმცა, ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის სხვა მუხლის (მაგ. მე-8 მუხლი) დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება აუცილებლად არ განაპირობებს მე-6 მუხლის მიხედვით სამართალწარმოების სამართლიანობის დარღვევას (*Khan v. the United Kingdom*, §§34-40; *Bykov v. Russia*, §§94-105). ამავდროულად, მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება სავარაუდოდ მე-6 მუხლთან შეუსაბამო იქნება, განსაკუთრებით თუ წამებას ქონდა ადგილი.

სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად და ნაგულისხმევი დოქტრინის თანახმად, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხელს უშლის მე-6 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში იმოქმედოს როგორც მეოთხე ინსტანციის სასამართლომ, ეროვნული მატერიალურ-სამართლებრივი ან პროცესუალური ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება „სამართლიანობის“ მოთხოვნებს. თუ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნობიან უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაზღვრავს: ა) ეროვნული ტერმინების მიხედვით „უკანონობა“ ხომ არ ემთხვევა კონვენციის ავტონომიურ ტერმინ- „უსამართლობას“; ბ) ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა საკითხი დაეყენებინა ეროვნული სასამართლოების წინაშე (*Schenk v. Switzerland*, §§47-51; *Heglas v. Czech Republic*, §§89-93).

ანალოგიურად, ფაქტების შეფასების საკითხს, რომელიც ძირითადად მტკიცებულებათა არასანდოობიდან წარმოიშობა, სტრასბურგის სასამართლო თითქმის ყოველთვის ეროვნული სასამართლოს დისკრეციას მიანდობს. თუ არსებობს ეჭვები სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ხარისხთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო ახდენს არა მტკიცებულების ხელახლა შეფასებას, არამედ მხედველობაში იღებს პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც თან ახლდა მსგავსი მტკიცებულების მიღებასა და განხილვას (*Cornelis v. the Netherlands*, dec.).

ევროსასამართლო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მივიდა დასკვნამდე, ეროვნული სასამართლოს პოზიციის საწინააღმდეგოდ, რომ მოპოვებული მტკიცებულება სრულიად არასანდო იყო, რადგან საეჭვო გარემოებებში იქნა მოპოვებული (*Lisica v. Croatia*, §§47-62). მაგ. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Laska and Lika v. Albania* (§§63-72), აპლიკანტის მსჯავრდება დაეფუძნა ამოცნობის შედეგს, რომლის დროსაც აპლიკანტი სხვა ამოსაცნობი პირებისგან, რომლებსაც შავი ნიღაბი

ეკეთათ, ლურჯი და თეთრი ნიღბით(სავარაუდო დამნაშავეების მიერ გამოყენებული ნიღბების იდენტური) გამოირჩეოდა. ასეთ გარემოში, ბუნებრივია, დაზარალებულმა მომჩივანი დამნაშავედ მიიჩნია. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამოცნობის პროცედურა იმგავარად იყო ორგანიზებული, რომ მას ვერ ექნებოდა მტკიცებულებითი ღირებულება; შესაბამისად, მსჯავრდება არ იყო ზუსტი. თუმცა, მსგავსი საქმეები განსაკუთრებულად იშვიათია და, გარდა დანაშაულის პროვოკაციისა, საქმეთა სხვა არცერთი კატეგორია, როგორც წესი, არ არის ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების ევროპული სასამართლოს მხრიდან ხელახლა განხილვის საფუძველი მე-6 მუხლის თანახმად.

არასანდო მტკიცებულებები: დარღვევა

- მნიშვნელოვანი მტკიცებულება მოპოვებულ იქნა სატრანსპორტო საშუალების არასანქცირებული ჩხრეკის დროს ეჭვმიტანილის ან მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად; პოლიციამ ვერ დაასაბუთა მყისიერად მოქმედების საჭიროება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ცნობილი იყო დამნაშავეთა ვინაობა და მტკიცებულება განადგურებას არ ექვემდებარებოდა (*Lisica v. Croatia*);
- მომჩივანს მტკიცებულება სავარაუდოდ ჩაუდეს მანქანაში; პოლიციის მიერ მომჩივნის დაკავებას სავარაუდოდ მოყვა არასათანადო მოპყრობა; მანქანა გაჩხრიკეს პირის დაკავებიდან ერთი საათის შემდეგ; დაკავების ოქმი არ შემდგარა და ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს შესაბამისი საჩივრების განხილვა (*Layijov v. Azerbaijan*);
- ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ყურადღებით შეემოწმებინათ მოწმის - უცხოეული მოქალაქის, ჩვენების სანდოობა და იყო თუ არა ის დადასტურებული საკმარისი მტკიცებულებით(*Tseber v. Czech Republic*).

არასანდო მტკიცებულებები: დარღვევა არ დადგინდა

- მტკიცებულების გამოყენება, რომელიც მოპოვებულ იქნა იმ მოწმისგან, რომელმაც პროკურატურისგან ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო; დარღვევა არ დადგინდა იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტისთვის უზრუნველყოფილი იყო მტკიცებულების გასაჩივრების საკმარისი

შესაძლებლობა, აგრეთვე სასამართლოებმა აღნიშნული მტკიცებულების დასაშვებობაზე დეტალურად იმსჯელეს (*Cornelis v. the Netherlands, dec.*);

- მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მტკიცებულება უკანონო გზით იყო მოპოვებული (განცალკევებული სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს), დარღვევა არ დადგინდა იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ არსებობდა საჯარო ინტერესი და ასევე ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღებით შეისწავლეს აპლიკანტის საჩივრები (*Prade v. Germany*).

6.3. არაერთგვაროვანი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა

მე-6 მუხლის არსებით მიზანს წარმოადგენს არა იმის შეფასება თუ რამდენად სწორი ან არასწორი გადაწყვეტილება მიიღო ეროვნულმა სასამართლოებმა, არამედ იმის განსაზღვრა თუ რამდენად ჰქონდა მომჩივანს არგუმენტების წარმოდგენისა და მისი აზრით საეჭვო მტკიცებულებების გასაჩივრების შესაძლებლობა (*Karalevičius v. Lithuania, dec.*). სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, მე-6 მუხლი სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას იმოქმედოს როგორც მეოთხე ინსტანციის სასამართლომ - კერძოდ, ხელახლა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან ხელახლა გამოიკვლიოს სავარაუდო დარღვევები ეროვნულ კანონმდებლობაში (*Bernard v. France, §§37-41*).

სახელმწიფოები თავისუფალნი არიან გამოიყენონ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნებისმიერ ქმედებაზე (რამდენადაც არ ირღვევა კონვენციით დაცული სხვა უფლებები) და განსაზღვრონ დანაშაულის შემადგენელი ნაწილები. შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლს არ წარმოადგენს განსაზღვროს ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შინაარსი, მათ შორის ბრალდებულისთვის უნდა არსებობდეს თუ არა რაიმე კონკრეტული დაცვის საშუალება (*G. v. the United Kingdom, dec., §§28-30*). თუმცა, ბოლო წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამოდენიმეჯერ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებით იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოში ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული (*Tudor Tudor v. Romania, §§26-33*); ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებათა განსხვავებულობა არ შეესაბამებოდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს ფართო გაგებით. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას შესაძლოა დრო დაჭირდეს და შესაბამისად არათანმიმდევრული პრაქტიკის გარკვეული პერიოდები შეიძლება შეწყნარებული იყოს, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის ექვემდებარების გარეშე (*Albu and others v. Romania*, §42). ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ერთმანეთს შეადაროს ეროვნული სასამართლოების განსხვავებული გადაწყვეტილებები, გარდა ამკარად თვითნებობის შემთხვევებისა, დიდმა პალატამ ცოტა ხნის წინ აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], §§59-96).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეეცადა თავიდან აერიდებინა კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების სასამართლო სისტემების ორგანიზაციულ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა. ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება ეროვნულ სასამართლოებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩართულობა ამ თვალსაზრისით უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევა (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC]).

განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა არ ჩაითვლება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად თუ ზედა ინსტანციის სასამართლოს ამ საკითხის დროულად (ე.ი. ერთი წლის განმავლობაში) გადასაწყვეტად შემუშავებული აქვს ეფექტური მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას (*Albu and others v. Romania* §§35-44).

მიუხედავად ამისა, ზედა ინსტანციის ეროვნული სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული და გრძელვადიანი განსხვავებულობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და რომელიც კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია (*Vrabec v. Slovakia*, §27). საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა და დასაშვებად მიიჩნია საქმეები, სადაც ორი ეროვნული სასამართლო - როდესაც თითოეულ მათგანს საკუთარი იურისდიქცია აქვს - იღებს განსხვავებულ, თუმცა რაციონალურ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე იმავე სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით (*Stoilkovska v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, §46).

არაერთგვაროვანი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა: დარღვევა

- ნაციონალიზებული საკუთრების რესტიტუციის კონტექსტში, საკანონმდებლო თანმიმდევრულობის ნაკლებობამ და კანონმდებლობის გარკვეული ასპექტების განმარტებასთან დაკავშირებით უმაღლეს სასამართლოში განსხვავებულმა სასამართლო პრაქტიკამ შექმნა სამართლებრივი განსაზღვრულობის არარსებობის საერთო კლიმატი; გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს წინაშე არ არსებობდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების კონფლიქტური გადაწყვეტილებების გადაჭრის მექანიზმი (Tudor Tudor v. Romania);
- საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო, გადაეჭრა საკუთრების რესტიტუციასთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არაერთგვაროვნება (Vrabec v. Slovakia).

არაერთგვაროვანი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა: დარღვევა არ დადგინდა

- უმაღლესმა სასამართლომ დროულად შეაფასა საჯარო მოხელეებისთვის შეღავათების მიკუთვნების საკითხი და კანონის სწორი განმარტების თაობაზე ნათელი განმარტებები გააკეთა; ეფექტურად აღმოფხვრა კანონის განმარტების არათანმიმდევრულობა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით (Albu and others v. Romania);
- უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ და უზენაესმა სამხედრო სასამართლომ (ადმინისტრაციულ და სამხედრო სასამართლო სისტემაში არსებული უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც თურქეთში თანაარსებობენ) მსგავს საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა ერთი და იმავე ავარიის ორ დაზარალებულს, სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა სამართალწარმოება სამართლიანი იყო და გადაწყვეტილება თვითნებურად არ მიუღიათ (Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey);
- სასამართლომ უარი განაცხადა გაეთვალისწინებინა ეროვნული პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თაობაზე (Salduz v. Turkey), თუმცა წარმოადგინა საკმარისი დასაბუთება პრაქტიკიდან გადახვევის გასამართლებლად (Borg v. Malta).